შავ ზღვაში აკვაკულტურის (მოსულკების მოშენების) სანებართვო განაცხადის ფორმა

ნებართვის მისაღებად ინვესტორის მიერ წარსადგენი ინფორმაცია

განმცხადებელი	
საკონტაქტო პირი	
მისამართი	
ქალაქი	
საფოსტო მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	

1. ინფორმაცია მოთხოვნილი საზღვაო სივრცის შესახებ

საზღვაო სივრცის ადგილმდებარეობის შესახებ	
საქმიანობის განხორციელების ადგილის რუკა, ფართობი და გეოგრაფიული კოორდინატები (Giz გეოინფორმაციული სისტემების კოორდინატების მითითებით, Shp ფაილებთან ერთად)	
საზღვაო სივრცის ზოგადი აღწერა	
მოთხოვნილი ნებართვის ვადა (მაქსიმუმ 20 წელი)	
კულტივირების ტიპი	☐ ფსკერული ☐ შეკიდული
წარმოების წლიური მოცულობა. მოთხოვნილი ფართობის საჭიროების დასაბუთება წარმოების მოცულობასთან კავშირში (გთხოვთ,	

მიუთითოთმოცულობის გაანგარიშების მეთოდოლოგია ან პრაქტიკა).	

2. წყლის ხარისხი

წყლის ხარისხის კლასიფიკაცია (ევროკავშირის რეგულაცია 625/2017/EU, და 627/2019/EU):	

3. მოსაშენებელი სახეობების შესახებ ინფორმაცია

მოსაშენებელი სახეობების დასახელება (ქართული/საერთაშორისო, სამეცნიერო სახელი):	სპატის მიღების წყარო, კომპანიის დასახელება და მისამართი	ჩასასმელი მასალის მაქსიმალური რაოდენობა (ცალობაში) ან ბიომასა.

4. მიმდებარე ტერიტორიის რუკა (დანართის სახით)

რუკაზე დასატანი ინფორმაცია:

- აკვატორია, სანაპირო ზოლი;
- ისარი, რომელიც მიუთითებს ჩრდილოეთს;
- რუკის მასშტაბი;
- მოთხოვნილი ტერიტორიის საზღვრები.

5. საზღვრების ნახაზი (დანართის სახით)

მითითება: წარმოადგინეთ მოთხოვნილი ადგილის საზღვრები ნახაზის სახით, სადაც დატანილია საზღვრის ყველა კუთხე, მიმართულება და მათ შორის მანძილი. მიუთითეთ კოორდინატები თითოეული კუთხისთვის შემდეგნაირად:

<u>კოორდინატების აღწერა</u>
წარმოადგინეთ გეოგრაფიული კოორდინატები მოთხოვნილი ტერიტორიის თითოეული კუთხისთვის განედსა და გრძედში. მონაცემები დაადგინეთ რუკიდან, ან GPS-ით, რომელიც გამოიყენება ამ კოორდინატების შესაქმნელად.

6. ტერიტორიის განვითარება

მითითებები: თუ დაგეგმილი ოპერაციები მოითხოვს კოლექტორის, ბაგირის, ბადისებური ტომრის, კალათის კონსტრუქციის ან ნებისმიერი სხვა კონსტრუქციის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ორგანიზმების კულტივირება წარმოებს პირდაპირ ფსკერზე, ან იყენებთ ტივტივებს მოთხოვნილი ადგილის კუთხეების აღსანიშნავად, საჭიროა წარმოადგინოთ კონსტრუქციების განთავსების ნახაზები და <u>**თავად კონსტრუქციათა შემადგენელი დეტალების/ელემენტების სქემების მაქსიმალური რაოდენობა.**</u> ყველა კონსტრუქციის განზომილება უნდა იყოს მარკირებული შესაბამისი ერთეულებში (სანტიმეტრი, მეტრი).

შენიშვნა: ინფორმაციასთან ერთად დანართის სახით წარმოადგინეთ სქემები ან/და ნახაზები.

A. <u>**ინფორმაცია აღჭურვილობის შესახებ**</u>

მითითებები: წარმოადგინეთ გამოსაყენებელი აღწურვილობის ნახაზი თითოეული ტიპის აღჭურვილობისათვის, რომლის გამოყენებასაც აპირებთ. ნახაზში მიუთითეთ აღჭურვილობის ზომის ერთეულები (სანტიმეტრი, მეტრი).

1. <u>აღჭურვილობის ნახაზი:</u> გთხოვთ, წარმოადგინოთ თითოეული ტიპის აღჭურვილობის ნახაზი, რომელიც გამოიყენება ორგანიზმების კულტივირებისათვის (მაგ. მიდიების ბაგირები, ხამანწკების გალიები და ა.შ.). ნახაზზე დაიტანეთ თითოეული ტიპის აღჭურვილობის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე.

2. <u>აღჭურვილობის ცხრილი</u> : ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოთვალეთ და აღწერეთ თითოეული ტიპის აღჭურვილობა, რომელსაც გამოიყენებთ (მაგ. ხამანწკების გალიები, სამაგრები, სამაგრი ბაგირები, ტივტივები, ღუზები და ა.შ.).

სპეციფიკური ტიპი (მაგ. რბილი ბადისებრი ჩანთა)	ზომები (მაგალითად 16"x20"x2")	წელიწადის დრო, როდესაც იქნება განთავსებული (მაგ. გაზაფხული, ზამთარი და ა.შ.)	მექანიზმის მაქსიმალური რაოდენობა	სახეობები, რომელთა გამოზრდა იგეგმება ამ ტიპის კონსტრუქციებში

B. <u>კონსტრუქციებისა და სამაგრის სისტემების სქემა</u>

მითითება: წარმოადგინეთ კონსტრუქციების განლაგების ნახაზები. მონაცემები ასახეთ მითითებული ერთეულებში - მეტრი, სანტიმეტრი.

1. **განივი კვეთის ნახაზი**

ნახაზზე ასახული უნდა იყოს:

- კონსტრუქციების მაქსიმალური რაოდენობის განლაგება, მათ შორის სამაგრი სისტემები;
- პროექტის საერთო სიგრძე და სიგანე;
- კონსტრუქციებს შორის მანძილი;
- მოთხოვნილი ტერიტორიის საზღვრები და ნებისმიერი დამატებითი კონსტრუქცია, რომელიც იქნება გამოყენებული.

2. კვეთის ხედი (გთხოვთ, ჩართოთ განაცხადში და დაასახელოთ როგორც „განივი კვეთის ხედი“) მასზე უნდა იყოს გამოსახული:

- ზღვის ფსკერი;
- ტერიტორიზე კონსტრუქციის განლაგების განივი პროფილი;
- კონსტრუქციის მარკირება ზომებისა და მასალის მითითებით;
- სამაგრი სისტემა მიმაგრების ტიპის, საზღვრების, აპარატურის და ბაგირების ტიპისა და ზომის მითითებით;
- კონსტრუქციის სიღრმე წყლის ზედაპირთან მიმართებაში.

C. <u>დამხმარე აღჭურვილობა</u>

1. აღწერეთ აღჭურვილობა, რომლებიც შესაძლოა განთავსდეს ადგილზე. მიუთითეთ ზომები, მათ შორის სიმაღლე ზღვის დონიდან, მასალები და ა.შ.

2. აღწერეთ ნავთობის, საპოხი ან სხვა საშიში მასალების შენახვა და გამოყენება ამ ობიექტზე. ობიექტზე ნავთობპროდუქტების განთავსდების შემთხვევაში დაურთეთ დაღვრის პრევენციის გეგმა.

D. ტერიტორიაზე არსებული დამხმარე კონსტრუქციები

1. აღწერეთ დამხმარე კონსტრუქციები, რომლებიც განთავსდება ადგილზე. მიუთითეთ სქემა და ზომები.

E. კონსტრუქციების ფერი

მიუთითეთ კონსტრუქციების ფერი.

F. აღჭურვილობის განლაგება

განსაზღვრეთ აღჭურვილობის განზოგადებული განლაგების სქემატური ან ფოტოგრაფიული ასახვა, როგორც ეს ჩანს წყლის ზედაპირის ორი თვალსაჩინო წერტილიდან. მიუთითეთ ამ ორი თვალსაჩინო წერტილის მდებარეობა.

7. საწარმოო საქმიანობა

განმარტეთ თქვენ მიერ დაგეგმილი და შემოთავაზებული კულტივირებული ორგანიზმების მოვლასთან/გამოზრდასთან დაკავშირებული აქტივობები.

A. რამდენად ხშირად გადაადგილდებით ტერიტორიაზე კულტივირებული ორგანიზმების მოვლის/გამოზრდის პერიოდში?

B. აღწერეთ მოსავლის აღების ტექნიკა და პერიოდი.

C. რამდენად ხშირად იქნებით ადგილზე მოსავლის აღების პერიოდში?

E. იქნება თუ არა აღჭურვილობა ტერიტორიაზე მთელი წლის განმავლობაში? ☐ დიახ ☐ არა

F. აღწერეთ კონსტრუქციების ადგილმდებარეობის ჩანაცვლების ან „სეზონური გადაადგილების“ გეგმები მოთხოვნილი ტერიტორიის ფარგლებში. მაგალითად, ამოიღებთ თუ არა აღჭურვილობას ტერიტორიიდან და/ან განათავსებთ ხელსაწყოებს შემოთავაზებული ტერიტორიის სხვადასხვა ზონაში? გთხოვთ, მიუთითოთ სად განთავსდება აღჭურვილობა და/ან პროდუქტი ტერიტორიიდან ამოღების შემთხვევაში.

G. მიუთითეთ ინფორმაცია მაკონტროლებელი ტექნიკის შესახებ, რომლის გამოყენებაც იგეგმება, მათ შორის ფრინველების შემაკავებელი საშუალებები. მოხდება თუ არა კომერციულად ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი აღჭურვილობის გამოყენება. თუ ქარხნული წარმოების აღჭურვილობის გამოყენების შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ ბრენდი და მოდელი, შესაბამისი საპასპორტო მონაცემებით. თუ გამოყენებული იქნება მორგებული აღჭურვილობა, გთხოვთ, დაურთოთ დეტალური სქემა, რომელიც მოიცავს აღჭურვილობის ზომებს, მასალებს და ფუნქციას.

8. ხმაური და სინათლე

მითითება: თუ შეკითხვა არ ეხება თქვენს მიერ შემოთავაზებულ ოპერაციებს, გთხოვთ დაწეროთ - **არ გამოიყენება.**

A. რა ტიპის მცურავი საშუალებები იქნება გამოყენებული ტერიტორიაზე? როდის და რამდენად ხშირად იქნება ეს საშუალებები ადგილზე? (მცურავი საშუალებების სპეციფიკაცია, სიგრძე, ძრავის სიმძლავრე, მოწყობილობები)

B. რა ტიპის ელექტრომოწყობილობა იქნება გამოყენებული ადგილზე? როდის და რამდენად ხშირად იქნება გამოყენებული ეს აღჭურვილობა?

C. მიუთითეთ, როგორ იგეგმება მცურავი საშუალებების და ელექტრომოწყობილობების ხმაურის დონის შემცირება.

D. მიუთითეთ განათების რაოდენობა, ტიპი, სიმძლავრე და მდებარეობა (გარდა ნავიგაციისთვის ან მარკირებისთვის გამოყენებული განათების), რომლებიც გამოყენებული იქნება ტერიტორიაზე.

E. მოხდება თუ არა საქმიანობის განხორციელება ღამის საათებში?

F. მიუთითეთ მომარაგების პუნქტები (პორტი).

G. ინფორმაცია საზღვაო უსაფრთხოების შესახებ, კერძოდ, ნავსადგურის, აკრძალული რეგიონების, გემების შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების შესახებ, ასევე, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის შესაბამისი დასკვნა. (საკუთრების დაცვისა და პერსონალის შრომითი უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია; რისკების პრევენციის გეგმა და მონიტორინგი).

9. გარემოს დახასიათება

მითითება: აღწერეთ მოთხოვნილი ტერიტორიის გარემო პირობები. გამოიყენეთ საზომი ერთეულები თქვენს პასუხებში (მაგ. მეტრი, სანტიმეტრი, სმ/წმ. და ა.შ.).

1. დინების სიჩქარე.

2. ფსკერის მახასიათებლები (ტალახი, ქვიშა, ხრეში, ქვა, ან რაიმე ნაზავი და ა.შ.).
3. ფსკერის ტოპოგრაფია (ბრტყელი, ციცაბო უხეში და ა.შ.).

4. აღწერეთ ზღვის ორგანიზმები სახეობების მიხედვით. თქვენი პირადი დაკვირვებებიდან ან ინფორმაციის სხვა წყაროებიდან გამომდინარე, არის ეს სახეობები უხვი, გავრცელებული ან იშვიათი?
5. არის თუ არა მიმდებარე ტერიტორიაზე მოლუსკები ან თევზის მიგრაციის გზები? თუ ასეა, გთხოვთ აღწეროთ.
6. აღწერეთ წყალქვეშა წყლის მცენარეულობის დაკვირვების თარიღი დაკვირვების მეთოდთან ერთად. თუ დაფიქსირდა წყალქვეშა მცენარეულობა, გთხოვთ, აღწეროთ.
7. აღწერეთ სანაპიროს ზოგადი მახასიათებლები (კლდოვანი სანაპირო, ტყიანი, ურბანული და ა.შ.)
8. არის თუ არა თქვენს მიერ მოთხოვნილი ტერიტორია განლაგებული სანაპირო მეთევზეობის არეალში? ☐ დიახ ☐ არა

10. არსებული სარგებლობა

A. აღწერეთ შემოთავაზებული ტერიტორიის არსებული გამოყენება გთხოვთ, მიუთითოთ ა) ტიპი; ბ) წელიწადის დრო, როდესაც ხდება აქტივობა; გ) სიხშირე; და დ) ტერიტორიასთან სიახლოვე.
1. კომერციული თევზჭერა
2. რეკრეაციული თევზჭერა
3. სანაოსნო აქტივობები (გთხოვთ, ასევე, მიუთითოთ მანძილი ნებისმიერი სანავიგაციო გზამდე).

5. სხვა გამოყენება (პლიაჟი და ა.შ.)

B. არის თუ არა მოთხოვნილი ტერიტორიიდან 500 მეტრის მანძილზე კერძო დოკები, ნავსადგურები ან სხვა მისასვლელი წერტილები? ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ სავარაუდო მანძილი.

C. არის თუ არა საჯარო პლაჟები, პარკები, სახელმწიფო ან მუნიციპალურად დაცული ტერიტორიები მოთხოვნილი ტერიტორიიდან 500 მეტრის მანძილზე? ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ აღწეროთ და მიუთითოთ სავარაუდო დისტანციები.

11. ექსკლუზიური გამოყენება

ნებართვის გაცემის შემთხვევაში, მოთხოვნილი ტერიტორიის საზღვრებში რა აქტივობების შეზღუდვაასისურვებდით? რატომ? (დასაბუთება).

12. სანაპიროზე მიწის მესაკუთრეების განსაზღვრა და ობიექტზე წვდომა

A. იქნება თუ არა საპროექტო ტერიტორიაზე წვდომა სანაპირო ზონის გავლით? ☐ დიახ ☐ არა

B. როგორ მოხდება შესვლა მოთხოვნილ ტერიტორიაზე?

C. რა გავლენას მოახდენს საწარმოო აქტივობები სანაპიროზე შესვლასა და გამოსვლაზე?

13. ტექნიკური შესაძლებლობები

1. ინფორმაცია პერსონალის პროფესიული გამოცდილების შესახებ. ინფორმაციას დაურთეთ შემოთავაზებული პროექტის განსახორციელებლად საჭირო რეზიუმეებისა ან პრაქტიკული გამოცდილების არსებობის შესახებ დოკუმენტაცია. 2. თუ კომპანია უკვე საქმიანობს აკვაკულტურის სფეროში, გთხოვთ, მიუთითოთ საქმიანობის წლები, ადგილი, სახეობები და პროდუქციის მოცულობა. ასევე, საკადრო უზრუნველყოფა.

14. ფინანსური შესაძლებლობა

A. ფინანსური შესაძლებლობები

გთხოვთ, წარმოადგინოთ დოკუმენტაცია პროექტის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსის შესახებ. მაგალითად, წერილი ფინანსური ინსტიტუტიდან, სადაც გამოხატულია მათი მზაობა საქმიანობაში ინვესტიციის განხორციელების მიზნით.

B. ხარჯთაღრიცხვა

გთხოვთ, წარმოადგინოთ შემოთავაზებული საქმიანობის ხარჯთაღრიცხვა.

განმცხადებელი: